ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომი

ფოტოგრაფიული გამოსახულების წაკითხვის მეთოდების შესახებ

ბასა მეტრეველი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა ხაბულიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2021

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოიკვლიოს ფოტოგრაფიის გაჩენის შემდეგ განვითარებული ფოტოგრაფიული გამოსახულების წაკითხვისა და განსჯა-გაგების მეთოდები, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არიან და ფოტო გამოსახულების ინტერპრეტაციის ურთიერთგამომრიცხავ ვარიანტებს გვთავაზობენ. ეს ნაშრომი მცდელობაა, რომ ამ წინააღდეგობების გასაგებად და დასაძლევად ასეთი მეთოდების განვითარების ისტორიას მიჰყვეს, გამოიკვლიოს მათი გაჩენის ძირითად მიზეზები და მათ მიერ ფოტო სურათებიდან საზრისების ამოკითხვის ძირითად პრინციპები; იპოვოს მათ შორის არსებული კავშირები და განსხვავებები; ბოლოს კი, სცადოს მათი განზოგადება ფილოსოფიური ჰერმენევტიკის ჭრილში წარმოდგენით და გამოიკვლიოს რა აქვს ფილოსოფიურ ჰერმენევტიკას სათქმელი ფოტოგრაფიული გამოსახულების განსჯა-გაგებისა და ზოგადად ინტერპრეტაციის ბუნებაზე.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიას მოცემულ საკითხებზე არსებული აკადემიური ლიტერატურის ანალიზი, მათი ერთმანეთთან შედარების საფუძველზე მათ შორის კავშირების პოვნა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება წარმოადგენს. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ფოტოგრაფიული გამოსახულების წაკითხვის

მეთოდების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართების დაძლევა შესაძლებელია თავად განსჯა-გაგებისა და ინტერპრეტაციის ბუნების ფილოსოფიური ჰერმენევტიკის დახმარებით სრულად გადააზრებით. ემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ არ არსებობს განსჯა-გაგებისა და ინტერპრეტაციის აბსოლუტური და ზე-ისტორიული მეთოდები. შესაბამისად კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფოტოგრაფიული გამოსახულებიდან საზრისების ამოკითხვის ისტორიაში არსებულ ყველა მეთოდს თავისი ადგილი და ფასეულობა გააჩნია.

საძიებო სიტყვები: ესთეტიკა, ფოტოგრაფიული გამოსახულება, ფილოსოფიური ჰერემენევტიკა, განსჯა, გაგება, ინტერპრეტაცია.

სარჩევი

მეთოდოლოგიური მიდგომა 4

I თავი 6

შესავალი: ფოტოგრაფიული გამოსახულების წაკითხვის მეთოდების მიმოხილვა 6

II თავი 23

ლიტერატურის მიმოხილვა 23

I ქვეთავი - ობიექტური ფოტოსურათი 23

როლან ბარტი: გამჭვირვალობა და მოუთვინიერებელი სურათი 26

რუდოლფ არნჰეიმი: რეზისტენტული ფოტოსურათები 31

კენდალ ვოლტონი: ტრანსპარენტული ფოტოსურათები 35

I ქვეთავის შეჯამება 38

II ქვეთავი -ესთეტიკური ფოტოსურათი 45

თანამედროვე ესთეტიკის დაბადება და თავისებურებები 48

ჯონ სარკოვსკი: ფოტოსურათის ესთეტიკური მხარე 51

ენდი გრანდბერგი: ანტი-ფოტოგრაფია და კონცეპტუალური ხელოვნება 57

II ქვეთავის შეჯამება 62